სატენდერო დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი N67ა-ში მდებარე შენობის პირველი (104.17კვ.მ), მესამე (141.60კვ.მ და 359.40 კვ.მ) და მეოთხე (497.86 კვ.მ) სართულებზე არსებული ფართების საკადასტრო კოდი: 01.13.06.008/01701/504; 01.13.06.008/01701/509) ჯამურად 1 103.03 კვ.მ ფართის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

1.2 საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

1.2.1 გასაწევი მომსახურების აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში. ტექნიკური დავალება სრულად იხილეთ თანდართულ PDF ფაილში (დანართი N1).
1.2.2 საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას/დამუშავებას "მუშა პროექტის" დონეზე, რომელიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს (ქვემოთ მოყვანილი მონაცემები სავარაუდოა და პროექტის მომზადების პროცესში შესაძლებელია მათი კორექტირება შემსყიდველთან შეთანხმებით):

1.2.2.1 არქიტექტურული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია: - არქიტექტურული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, პროექტში არსებული სივრცეების მოწყობის შესახებ;
- საპროექტო სივრცის სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია (ეგრეთ წოდებული რენდერები) მაღალი რეზოლუციით. მინიმუმ სამ-სამი თვალსაჩინო გამოსახულება სხვადასხვა რაკურსით;
- საპროექტო სივრცის ფუნქციონალური გეგმები შესაბამისი დანიშნულების და ფართობების მითითებით, (მასშტაბი 1:50 ან 1:100);
- საპროექტო სივრცის გეგმები, დეტალური ზომების დატანით, (მასშტაბი 1:50 ან 1:100);
- საპროექტო სივრცის კედლებისა და ტიხრების ტიპები (მასშტაბი 1:50 ან 1:100);
- საპროექტო სივრცის იატაკებისა და ჭერების მოპირკეთების ტიპები (მასშტაბი 1:50 ან 1:100);
- საპროექტო სივრცის კედლების შიდა მოპირკეთების ტიპები (მასშტაბი 1:50 ან 1:100); ცალკეული ტიპების დეტალური აღწერა (საჭიროების შემთხვევაში განშლები).
- საჭიროების შემთხვევაში საპროექტო სივრცის ღიობებისა და კარ-ფანჯრების ცალკეული ტიპების დეტალური ნახაზები (მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10, 1:20);
- საპროექტო სივრცის არქიტექტურული დეტალებისა და კვანძების მუშა ნახაზები (კიბეები, მოაჯირები, და სხვა დეტალები, (მასშტაბი 1:2, 1:5, 1:10, 1:20);

1.2.2.2 ტექნოლოგიური ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებითი ბარათი;
- საპროექტო სივრცის გეგმები ავეჯის და ინვენტარის განთავსების ადგილების ჩვენებით, სართულების მიხედვით;
- ავეჯის, ინვენტარის დეტალური სპეციფიკაცია. სპეციფიკაციაში მითითებული უნდა იყოს მათ შორის მასალა გაბარიტული ზომები;

- საპროექტო სივრცის საევაკუაციო გეგმები შესაბამისი მაჩვენებლების განთავსების ადგილების ჩვენებით.

1.2.2.3 კონსტრუქციული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- კონსტრუქციული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კონსტრუქციებზე მოქმედი მოსალოდნელი დატვირთვების შესახებ.

1.2.2.4 ელექტრული ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- ელექტრული ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ელექტრული ქსელების შესახებ. (განმარტებით ბარათში მითითებული უნდა იყოს დადგმული და მოთხოვნილი სიმძლავრეები, ასევე მათი უზრუნველყოფის გზები);
- საპროექტო სივრცის შიდა ქსელების ნახაზები, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები;
- საპროექტო სივრცის შიდა განათების ქსელების ნახაზები, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები;
- საპროექტო სივრცის მთავარ ელ.ფარზე დაერთების სქემა (საჭიროების შემთხვევაში) მასალების 5 სპეციფიკაცია.

1.2.2.5 სუსტდენიანი სისტემების ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- სუსტი დენების ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, სუსტდენიანი ქსელების შესახებ;
- საპროექტო სივრცის შიდა სახანძრო სიგნალიზაციის და დეტექტორების ქსელის სქემები სართულების მიხედვით და საერთო ბლოკ-სქემა, მასალების და მოწყობილობების სპეციფიკაცია;
- შიდა კომპიუტერული ქსელის სქემები სართულების მიხედვით და საერთო ბლოკ სქემა, მასალების და მოწყობილობების სპეციფიკაცია;
- ერთი მომხმარებლისთვის გათვლილი უნდა იყოს 2 ცალი RJ45 ტიპის ქსელის მისაერთებელი წერტილი
- ქსელის წერტილები აუცილებლად უნდა იყოს მოთავსებული იატაკში მოწყობილ შესაბამის საკომუნიკაციო ყუთებში. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (ბანკომატები, გადახდის აპარატები და ა.შ.)
- ყველა ქსელის წერტილი დატერმინირებული უნდა იყოს TIA/EIA-568-B სტანდარტის შესაბამისად.
- ქსელის წერტილები უნდა მარკირდებოდეს ANSI/TIA/EIA 606 სტანდარტით
- აუცილებელია ქსელის წერტილების ორივე მხარე უნდა იყოს დაბოლოებული ზემოთ მითითებული სტანდარტის შესაბამისად
- კაბელები საკომუნიკაციო კარადაში შედიოდეს შესაბამისი არხით.
- სუსტი დენების კაბელები ელ.ენერგიის კაბელებიდან დაშორებული უნდა იყოს მინიმუმ 30-სმ-ით
- ქსელისთვის გამოყენებული უნდა იყოს მინიმუმ Cat5E სტანდარტის კაბელი.
- საკომუნიკაციო კარადაში აუცილებელია განთავსდეს Patch Panel-ები რომელზეც იქნება დატანილი შესაბამისი მარკირება და ზედვე იქნება დატერმინირებული კაბელები
- სამუშაოები უნდა ჩატარდეს ისე, რომ სამომავლოდ გათვლილი იყოს მინიმუმ 25%-ან ზრდაზე
- საკომუნიკაციო კარადა და მასზე მიმავალი ელ.ენერგიის წერტილები აუცილებლად უნდა იყოს დამიწების კონტურზე დაერთებული
- რეკის/რეკების განთავსების ადგილები უნდა იყოს იზოლირებული დაცული
- ტექნიკური საშუალებებლი რომელიც სჭირო იქნება ამ სამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად უნდა უზრუნველყოს შემსრულებელმა

- აუცილებელია ქსელის წერტილების რაოდენობა, განთავსების ადგილი და ნებისმიერი სხვა სპეციფიური საკითხი შესრულებული იქნეს პროექტის მიხედვით.

შენიშვნა:
ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები არის მხოლოდ და მხოლოდ ის მინიმალური მოთხოვნება რაც უნდა დაიცვას ნებისმიერმა შემსრულებელმა. სხვა ნებისმიერი საკითხი წინასწარ უნდა იქნებს განვლილი და შეთანხმებული დამკვეთთან.

1.2.2.6 გათბობა, კონდიცირების ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- გათბობა, კონდიცირების ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, საპროექტო სივრცის სითბო-სიცივით მომარაგების უზრუნველყოფის გზებზე;
- საპროექტო სივრცის სითბო-სიცივით მომარაგების კვანძის სქემები, მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები;
- საპროექტო სივრცის გათბობა-გაგრილების სქემები და ნახაზები (სამგანზომილებიანი სქემების ჩათვლით), მასალებისა და ნაკეთობების სპეციფიკაციები;

1.2.2.7 სახარჯთაღრიცხვო ნაწილი, რომელშიც დამუშავდება მინიმუმ შემდეგი დოკუმენტაცია:

- სახარჯთაღრიცხვო ნაწილის საერთო განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დანარიცხების გაანგარიშების წესის შესახებ (გაუთვალისწინებელი ხარჯები, ზედნადები ხარჯები, გეგმიური დაგროვება და სხვა);
- მშენებლობის შენაკრები ხარჯთაღრიცხვა;
- საობიექტო ხარჯთაღრიცხვები;
- ლოკალური ხარჯთაღრიცხვები შესრულებული რესურსული მეთოდით;
-ლოკალურ ხარჯთაღრიცხვებში ცალ-ცალკე გამოყოფილი უნდა იყოს სამშენებლო მასალების ღირებულება, მუშათა ხელფასი, სამშენებლო მანქანების ექსპლოატაციის ხარჯები, ზედნადები ხარჯები და გეგმიური მოგება.

1.2.2.8 მომსახურება, პროექტის შესაბამისად სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობის დროს, რაც მოიცავს შემდეგს:

- სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ნაწილის მომზადებას. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვის პროცედურის მსვლელობისას, სატენდერო კომისიისათვის ახსნა განმარტებების, დასკვნების და რეკომენდაციების გაცემას ტექნიკურ საკითხებში. საავტორო ზედამხედველობის გაწევა სამშენებლო სამუშაოების წარმოების პერიოდში, რაც მოიცავს შემდეგს:
- სამშენებლო პროცესების გეგმიურ და არაგეგმიურ ინსპექტირებას. გეგმიური ინსპექტირება უნდა ჩატარდეს მინიმუმ 10 დღეში ერთხელ, ხოლო არაგეგმიური ინსპექტირება ტარდება შემსყიდველის (ან სხვა დაინტერესებული მხარის) მოთხოვნით.
- ინსპექტირებისას აუცილებელია წარმოებდეს საავტორო ზედამხედველობის ჟურნალი, სადაც აისახება ინსპექტირების შედეგები. ჟურნალი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემსყიდველისათვის ნებისმიერ დროს.
- ფარული სამუშაოების კონტროლს, ფარულ სამუშაოთა აქტების შედგენაში მონაწილეობას და დამოწმებას.
- საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისას, ზედამხედველი ვალდებულია სამშენებლო პროცესების საპროექტო დოკუმენტაციასთან ყველა შეუსაბამობა და უზუსტობა დააფიქსიროს ჟურნალში და დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს.

- სამშენებლო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული საშემსრულებლო ნახაზების (დოკუმენტაციის) გადამოწმება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა შემსყიდველისთვის.
- რეკომენდაციების და სპეციალური ტექნიკური დახმარების გაწევა სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესში.

1.2.3 დასაგეგმარებელი სივრცის აღწერა:

1.2.3.1 მდებარეობა: საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N67ა, პირველი, მე-3 და მე-4 სართული;
1.2.3.2 არსებული სიტუაციის მოკლე აღწერა: იხილეთ ფოტო გალერია;

1.2.3.3 დასაგეგმარებელი სივრცის მოკლე აღწერა: პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, წარმოსადგენი ექნება სრულყოფილი საინჟინრო ნაწილი - შენობა-ნაგებობის გათბობის სისტემის, დაცვის სისტემების (მათ შორის სათვალთვალო კამერების), ელექტროობის, სუსტი დენების მუშა პროექტები, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ჩვენებით. სასურველია, მაქსიმალურად მოხდეს არსებულ სისტემებზე დაერთება. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, პრეტენდენტს მოეთხოვება პროექტის შეთანხმება თბილისის არქიტექტურის სამსახურში ყველა სავალდებულო ნებართვის მოსაპოვებლად;

აუცილებელი მოთხოვნა - მიმწოდებელი ადგილზე გაეცნოს დასაპროექტებელ ტერიტორიას, აზომოს, სურვილის შემთხვევაში გადაიღოს სურათები, გააკეთოს ჩანახატები. პროექტირების დროს სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას ის გარემოება, რომ შენობის პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე სართულებზე განთავსებული ორგანიზაციების სამუშაო პროცესი არ უნდა შეფერხდეს/გამოიწვიოს არსებითი დისკომფორტი და ასევე სამშენებლო მასალებისა შეტანა, სამშენებლო ნარჩენების გატანა და დასუფთავება განხორციელდეს შენობაში განთავსებული სხვა ორგანიზაციების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;

აუცილებელი მოთხოვნაა - მიმწოდებელმა მიიღოს დამატებითი ინფორმაცია შემსყიდველის შეხედულებებზე და პროექტის წარმოდგენამდე მიაწოდოს ავტორისეული ხედვა ამოცანის გადაჭრის გზების თაობაზე. მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას ყველა დეტალი შეათანხმოს შემსყიდველთან;

1.2.4 პროექტირების ძირითადი პრინციპები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა მომსახურების გაწევისას:

1.2.4.1 საპროექტო სივრცე უნდა იყოს მაქსიმალურად ენერგო დამზოგავი, მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი თბო დანაკარგები (თბო შენაკადები);
1.2.4.2 პროექტირება უნდა განხორციელდეს ალტერნატიული ვარიანტების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასების საფუძველზე;
1.2.4.3 გამოყენებული მასალები უნდა იყოს ეკოლოგიურად სუფთა, სასურველია პრიორიტეტი მიენიჭოს ბუნებრივი და ადგილობრივი მასალების გამოყენებას;
1.2.4.4 საპროექტო გადაწყვეტილებებმა უნდა უზრუნველყონ მინიმალური საექსპლუატაციო და მოვლა-პატრონობის ხარჯები;
1.2.4.5 გამოყენებული სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები საშუალებას უნდა იძლეოდნენ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (რემონტის) ხარჯები;

1.2.4.6.ძირითადი მოსაპირკეთებელი მასალების და ნაკეთობების შერჩევა უნდა განხორციელდეს დამკვეთთან შეთანხმების საფუძველზე;
1.2.4.7 პროექტირების დროს ყველა დეტალი შეთანხმებულ იქნას შემსყიდველთან.
1.2.4.8 მომსახურების გაწევა განახორციელოს საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მოთხოვნათა სრული დაცვით.
1.2.4.9 შემუშავებული პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოებისა და სივრცეების მოწყობის (ავეჯის, განათების და სხვა ელემენტების) ჯამური სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 000 000.00 (1 მლნ) ლარს ყველა გადასახადის ჩათვლით.

1.2.5 მიმწოდებელმა წერილობით უნდა წარუდგინოს შემსყიდველს პროექტის, მოცულობათა უწყისის და ხარჯთაღრიცხვის ბეჭდური და ელექტრონული ვერსია.
1.2.6 პროექტირებისას მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოები და პროექტის გეგმარებითი საპროექტო სამუშაოები დაამუშაოს შემსყიდველთან კონსულტაციების (საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოები) შემდეგ.
1.2.7 მიმწოდებელმა სატენდერო წინადადებაში უნდა გაითვალისწინოს სრული არქიტექტურული პროექტის შედგენასთან (მათ შორის ექსპერტიზ(ებ)ის), შენობის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების ნებართვის მიღებასთან, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებთან და საავტორო ზედამხედველობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი.
1.2.8 მიმწოდებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, სამშენებლო ნებართვის მიღების მიზნით მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს და წარუდგინოს საჭირო დოკუმენტაცია.
1.2.9 თუ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, მიმწოდებლის ბრალეულობით გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
1.2.10 „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მიმწოდებლის მიერ, შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებზე (კერძოდ, პროექტზე) ქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის შემსყიდველს.

ტექნიკური დავალება

1.3 ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა:

№	CPV კოდი	მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ვადა	გასაწევი მომსახურების ღირებულება (დღგ-ს გარეშე)
1	71200000	წერეთლის გამზირზე N67ა-ში მდებარე შენობის პირველ, მე-3 და მე-4 სართულზე არსებული 1103.03 კვადრატული მეტრი ფართის		

		სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურება ტექნიკური დავალების შესაბამისად		

1.4 საქონლის მიწოდების / მომსახურების გაწევის / სამუშაოს შესრულების ვადა

1.4.1 მომსახურების გაწევა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში პრეტენდენტმა ასევე უნდა უზრუნველყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პირის მიერ მომზადებული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა შემდეგზე:
- კონსტრუქციულ, ელექტრო, სუსტი დენების, გათბობა-კონდიცირების პროექტებზე და ხარჯთაღრიცხვაზე. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს დადებითი საექსპერტო დასკვნის ღირებულების ანაზღაურება;

1.4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად ან მომსახურების გაწევისას გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დანახარჯის გაწევის გარეშე, ასეთი ხარვეზის/წუნის გამოვლენიდან და შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადებში. მომსახურების გაწევა იწარმოებს საჭიროებისამებრ, შემსყიდველის ან/და მომწოდებლის მისამართზე;

1.4.3 საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე ტენდერის ფარგლებში შემუშავებული პროექტის განხორციელების (სამუშაოთა წარმოების) პერიოდში, მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯით უნდა უზრუნველყოს პროექტში შემსყიდველის მიერ მითითებული ცვლილებების შეტანა შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის აუცილებლობისას, ექსპერტიზის ხარჯებს კვლავ გაიღებს მიმწოდებელი.

1.5 საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის / სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

1.5.1 საპროექტო მომსახურების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები, რომლებიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:
1.5.1.1 საპროექტო სივრცის აზომვით ნახაზს;
1.5.1.2 სამგანზომილებიან ვიზუალიზაციას;
1.5.1.3 სრულად არქიტექტურულ ნაწილს - მოსაპირკეთებელი მასალების, ავეჯის, სანათების, ყველა აქსესუარისა და დანადგარის სპეციფიკაციების ჩვენებით;
1.5.1.4 კონსტრუქციული ნაწილს (საჭიროების შემთხვევაში);
1.5.1.5 ელექტრულ ნაწილს;
1.5.1.6 სუსტი დენების ნაწილს;
1.5.1.7 გათბობა, კონდიცირების ნაწილს;
1.5.1.8 სამუშაოთა შესრულების გეგმა-გრაფიკს;

1.5.1.9 პროექტირების სტადიაზე, აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი თანამედროვე და ხარისხიანი განათების სისტემები, მათ შორის ტექნიკური თუ სპეციფიური მოთხოვნების გათვალისწინებით. მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული შშმპ-სათვის თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა;
1.5.1.10 ინტერიერის გეგმარება დიზაინისა და ავეჯის სრულყოფილად ჩვენებით და დაანგარიშებით თანამშრომელთა თუ სტუმრების რაოდენობის გაანგარიშებით;
1.5.1.11 ნებისმიერი სხვა სახის სადემონსტრაციო მასალა, რაც ავტორის აზრით, უკეთ წარმოაჩენს პროექტს;
1.5.1.12. განმარტებითი ბარათი;
1.5.1.13 ხარჯთაღრიცხვას (შედგენილი მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ შესაბამისად) სავალდებულო მოთხოვნა: აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (მ/შ ნახაზები, პროექტი, ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები) წარმოდგენილი უნდა იქნას 3 ეგზემპლარად - A3 ფორმატის ნაბეჭდი მასალის (ალბომის) სახით, ასევე ელექტრონულად - CD დისკზე ჩაწერილი, pdf და dwg ფაილების სახით.

1.5.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N42ა, სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის ადმინისტრაციული შენობა.

ტექნიკური მოთხოვნები

2.2.1 მოთხოვნა პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

2.2.1.1. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2018 წლის 1 იანვრიდან, ტენდერის გამოცხადების მომენტამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს მშენებლობის პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის გამოცდილება საერთო ღირებულებით არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები ან/და აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ მითითება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის შესყიდვის ნომრებზე (მაგ: NAT/CMR/SPA და ა.შ).
2.2.1.2 ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 2018 წლის 1 იანვრიდან, ტენდერის გამოცხადების მომენტამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს უშუალოდ ერთ-ერთი მშენებლობის პროექტირების სამუშაოები, ღირებულებით არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით. აღნიშნულის დასტურად, პრეტენდენტმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლები ან/და აღნიშნული დოკუმენტაციის შესახებ მითითება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის შესყიდვის ნომრებზე (მაგ: NAT/CMR/SPA და ა.შ).
2.2.1.3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი გამოცდილების სახით წარმოადგენს არასახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებსა და მათი შესრულების დოკუმენტაციას, გარდა 2.2.1.1 და 2.2.1.2 ქვეპუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაციისა, პრეტენდენტი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს აღნიშნულ სამუშაოებზე დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების ელექტრონული ვერსიები.

შენიშვნა:
შემსყიდველი უფლებამოსილია, ინფორმაციისათვის მიმართოს პრეტენდენტის იმ დამკვეთებს, რომლებთან გაფორმებულ დოკუმენტებსაც წარმოადგენს პრეტენდენტი გამოცდილების დასტურად.

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ				
№	დამკვეთი	ხელშეკრულების ღირებულება	შესრულების პერიოდი	SPA/NAT(CMR) ნომრები (არსებიბის შემთხვევაში)

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები

2.9.1 მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის საპროექტო მომსახურეობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ (საჭიროების შემთხვევაში) მონაწილეობა მიიღოს საპროექტო გადაწყვეტილებათა დაზუსტებაში, მუშა ნახაზების და სამშენებლო მოცულობების შესაბამისი ცვლილებების მომზადება-შეთანხმებაში.
2.9.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოებს მიმდინარეობის მთელ პერიოდში გაუწიოს საავტორო ზედამხედველობა (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციების გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება) და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სამუშაოების, მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით გათვალისწინებულ სხვა აქტების შედგენაში, ასევე შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადასტურებაში მიმწოდებლის მიერ შედგენილ პროექტთან.
2.9.3 საინჟინრო-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არანაკლებ:
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება: ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილება: საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის აღიარების და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“.
მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ: საქართველოს მთავრობის 2007წ. 28 მარტის N62 დადგენილება.
,,მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე ,,საქართველოს მთავრობის 2014 წ. 27 მაისის N361 დადგენილება“.
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილება: მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“.
,,სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ზედნადები ხარჯების და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55-ე დადგენილება“.
,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი რეგულაციები, რომელიც უკავშირდება საინჟინრო-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო-სამშენებლო რეგულირების სფეროებს, ასევე, საინჟინრო-საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების მიმდინარეობას ახალი რეგულაციების წარმოშობის შემთხვევაში, აუცილებელია მათი გათვალისწინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.1.1 მოთხოვნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის მოთხოვნასთან დაკავშირებით შემსყიდველი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებაზე: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის უმთავრესი მიზანია საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველყოფა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. დღეის მდგომარეობით, ეკონომიკური აგენტები თავისუფალნი არიან საქონლის/მომსახურების/სამუშაოს ფასწარმოქმნის ჯაჭვის ფორმირებისას. ვინაიდან მოქმედი სამართლებრივი აქტებით არ არის განსაზღვრული/რეგულირებული შესაბამისი კრიტერიუმები, თუ რა საფუძვლით უნდა განხორციელდეს ფასის ფორმირება, მიგვაჩნია, რომ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების შეფასება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეუძლებელია.
შემსყიდველმა მიიჩნია, რომ კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებისთვის, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი ადმინისტრაციული ბარიერები. ამასთან, ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაწესება დაუშვებელია. ასევე, აღნიშნული შესყიდვის ობიექტი ძირითადად წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას. მისი შეფასების კრიტერიუმები და ფასწარმოქმნის დასაბუთების სტანდარტი რთული დასადგენია. ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

ანგარიშსწორების პირობები

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

7.2.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი; ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად; დაფინანსების წყარო - 2022 წლის სსიპ აკრედიტაციის ცენტრის კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლებით გათვალისწინებული ასიგნებები.
ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგნაირად:
7.2.1.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის მიერ მოხდება მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 30%–ის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავანსოდ გადასარიცხი თანხის იდენტური ოდენობის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის'' მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიის საფუძველზე. აღნიშნული საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე, ხოლო

მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის/მიწოდების ბოლო ვადას. საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიით გათვალისწინებულ თანხას, მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%–ს შემსყიდველი გადაიხდის საავანსო საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

7.2.1.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება პროექტის, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს ან სხვა შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტირებული ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის მიერ. სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით აკრედიტირებული ექსპერტიზის განმახორციელებელი პირის შერჩევას, ექსპერტიზის დაკვეთას და ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი დამატებითი ანაზღაურების გარეშე. ექსპერტიზის დროს წარმოქმნილი გადაწყვეტილებების კორექტირებას მიმწოდებელი ორგანიზაცია ასრულებს დამატებითი ანაზღაურების გარეშე. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში გაფორმდება საპროექტო-სახარჯთაღიცხვო მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ გამოთავისუფლდება, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საავასო ანგარიშწორებისათვის წარმოდგენილი საბანკო/სადაზღვევო გარანტია და ანაზღაურდება ღირებულება ხელშეკრულების 50%-ის ოდენობით.

7.2.1.3 მიღება-ჩაბარების აქტით მიღებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, განხორციელებული სამუაოების პროცესში საზედამხედველო სამუშაოების დასრულების შემდეგ, გაწეული მომსახურების შესახებ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, 10 სამუშაო დღეში ანაზღაურდება ღირებულება ხელშეკრულების დარჩენილი 20%-ის ოდენობით.

7.2.2 შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლისათვის გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა), ატვირთული ყველა დოკუმენტი (მათ შორის დანართები) ან/და ინფორმაცია, უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მინდობილობა ან რწმუნებულება) დამოწმებული უნდა იყოს ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

10.1.2 სატენდერო წინადადება და ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები ან/და ინფორმაცია შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე. დოკუმენტებთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას, უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

10.1.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
10.1.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.
10.1.5 პრეტენდენტი ვალდებულია, მის მიერ შექმნილი, წინადადების სახით წარმოდგენილი დოკუმენტები (მაგ., ფასების ცხრილი PDF ფორმატში წარმოდგენის შემთხვევაში და ა.შ.). დაამოწმოს/დაადასტუროს კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით. რაც შეეხება სატენდერო პირობებით მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციას, მაგალითად: გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულების, ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, მათ დამატებით აღარ ესაჭიროება კვალიფიციური ხელმოწერა ან/და კვალიფიციური შტამპი.
10.1.6 პრეტენდენტმა სატენდერო წინადადების ფასში არ უნდა გაითვალისწინოს დღგ, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი.
10.1.7 ტენდერში მონაწილეობით პრეტენდენტი ეთანხმება სატენდრო დოკუმენტაციის ყველა იმ მოთხოვნას, რომელთა შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან/და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა არ არის სავალდებულო.
10.1.8 სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალება და პროცედურა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

შენობის კონცეფცია

ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი N67ა-ში მდებარე შენობის პირველი (104.17კვ.მ), მესამე (141.60 კვ.მ და 359.40 კვ.მ) და მეოთხე (497.86 კვ.მ) სართულებზე არსებული ფართების საკადასტრო კოდი: 01.13.06.008/01701/504; 01.13.06.008/01701/509) ჯამურად 1 103.03 კვ.მ ფართის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

ძირითადი მოთხოვნები:

1. გენ. გეგმა;
2. განმარტებითი ბარათი;
3. არქიტექტურული ნაწილი და გეგმარებითი ნახაზების შედგენა;
4. ელ. გაყვანილობის პროექტი;
5. ელ. მომარაგების პროექტი;

6. გაზიფიცირების პროექტი;
7. წყალმომარაგების პროექტი;
8. სუსტი დენები (კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები);
9. შესაბამისი ორგანოებიდან საჭირო ტექპირობების და საჭირო ნებართვების მოპოვება (თელმიკო, თბილისი ენერჯი, GWP, მერია);
10. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
11. ვიდეო სათვალთვალო სისტემა;
12. გათბობა-კონდიცირება;
13. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
14. ხარჯთაღრიცხვა;
15. დემონტაჟის პროექტი;
16. შიდა ოთახების რენდერი და პროექტი;
17. შენობაში მოქმედი ლიფტის მოპირკეთებისათვის საჭირო სამუშაოების გათვალისწინება.
18. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე ადაპტირებული გარემოს მოსაწყობად, საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმებისა და წესების შესაბამისად, საჭირო სამუშაოების გათვალისწინება.

- ტექნიკური დავალების ძირითადი მოთხოვნების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული, საჭირო ტექპირობების და საჭირო ნებართვების (თელასი, თბილისი ენერჯი, GWP, მერია) მოპოვება უნდა უზრუნველყოს სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიამ.

- პროექტანტმა შესაბამის ხარჯთაღრიცხვაში უნდა გაითვალისწინოს, რომ სარემონტო-სამუშაოების წარმოების ეტაპზე, ყველა კომუნალური ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს სამუშაოების მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ;

- პროექტი შესრულებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი შესაბამის სფეროს ნორმებისა და წესების მიხედვით;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შედგეს მიმდინარე საბაზრო ფასებით და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის გადმოცემით

შენობა არ წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. შენობა შედგება 6 სართულისგან არის არასაცხოვრებელი ფუნქციის და შენობის საპროექტო ფართი საორიენტაციოდ შეადგენს 1 103.03 კვ.მ-ს. შენობაში დამონტაჟებულია სამგზავრო ლიფტი. შენობის გათბობა უნდა განხორციელდეს ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო კონდინცირება - on/off ტიპის კონდინციონერებით. შენობის სართულებზე უნდა მოეწყოს შემდეგი დანიშნულების ოთახები:

პირველი სართული:

- თეჯერი საშვთა ბიუროს/დაცისა და კანცელარიისათვის (კორესპონდენციის მიღება); დაცვის თანამშრომელთა ოთახი, შესაბამისი სახანძრო უსაფრთხოებისა და დაცვის სისტემათა მართვის პულტებით;
- მოქალაქეთა მისაღები შესაბამისი რბილი ავეჯითა და ჟურნალების მაგიდით;

- საინფორმაციო და ბანერული კედელები აკრედიტაციის ცენტრის ლოგოსა და დასახელების გამოსახულებით;
- შიდა გამწვანება/მცენარეები

ლიფტი:

- ლიფტის კაბინის კეთილმოწყობა

მესამე სართული:

- სათათბირო/საკონფერენციო ოთახი - 1 ერთეული;
- სამუშაო ოთახი თანამშრომელთათვის - 12 ერთეული;
- საწყობი ოთახი - 1 ერთეული;
- არქივის ოთახი - 1 ერთეული;
- სამეურნეო ოთახი - 1 ერთეული;
- სამზარეულო - 1 ერთეული;
- სველი წერტილი - 2 ერთეული.
- შიდა გამწვანება/მცენარეები

მეოთხე სართული:

- ხელმძღვანელის სამუშაო კაბინეტი, მოსასვენებელი სივრცით და დამოუკიდებელი სველი წერტილით, ასევე მისაღები ოთახი (თანაშემწისთვის); - 1 ერთეული;
- ხელმძღვანელის მოადგილის სამუშაო კაბინეტი - 2 ერთეული - საერთო მისაღები ოთახით (თანაშემწისთვის);
- სათათბირო/საკონფერენციო ოთახი - 1 ერთეული;
- სამუშაო ოთახი თანამშრომელთათვის - 8 ერთეული;
- სველი წერტილი - 2 ერთეული.
- შიდა გამწვანება/მცენარეები

შიდა სივრცეები, საბოლოო პროექტზე უნდა იყოს წარმოდგენილი ფუნქციური მითითებით, მაგალითად კანცელარია, მისაღები, არქივი და ა.შ თითოეულ სივრცეში უნდა იყოს მითითებული ფართის განათებისა და გათბობის სიმძლავრეები და ელექტრო ენერგიისა და სუსტი დენების კვების წყაროების რაოდენობა იმ ფართებზე, სადაც გათვალისწინებულია ერთზე მეტი პირის განთავსება, დამატებით მითითებული უნდა იყოს ადამიანების მაქსიმალური რაოდება, სამუშაო სივრცის რაოდენობის გადათვლით.

პროექტირების დროს სავალდებულოა გათვალისწინებული იქნას ის გარემოება, რომ შენობის პირველ, მეორე, მეხუთე და მეექვსე სართულებზე, სამუშაოების წარმოების ეტაპზე განთავსებული ორგანიზაციების სამუშაო პროცესი არ უნდა შეფერხდეს/გამოიწვიოს არსებითი დისკომფორტი და ასევე სამშენებლო მასალების შეტანა, სამშენებლო ნარჩენების გატანა და დასუფთავება განხორციელდეს შენობაში განთავსებული სხვა ორგანიზაციების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები უნდა

განხორციელდეს მხოლოდ სამუშაო დღეებში 10:00 დან 18:00 საათამდე. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელება არ უნდა აღემატებოდეს 4 კალენდარულ თვეს.

შენიშვნა: ოთახების დანიშნულება და რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესში ფაქტიურად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინებით.

გასაწევი მომსახურების მოცულობა და ძირითადი მოთხოვნები:

გასაწევი მომსახურება შედგება 2 (ორი) ეტაპისგან:

I ეტაპი - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და პროექტის ექსპერტიზა:

● სრული არქიტექტურული პროექტის შედგენა მათ შორის:

- შენობის მუშა ნახაზების შედგენა;

- ინტერიერის დიზაინი, კერძოდ:

- მაღალხარისხიანი აქსონომეტრიული ხედების (რენდერები) და ფოტომონტაჟის შედგენა;
- სართულების გეგმები, მასზე ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის სხვადასხვა კომპონენტების საორენტაციო ადგილმდებარეობის ჩვენებით;
- გეგმები, ჭერების რეფლექტური გეგმები მასზე ყველა საინჟინრო სისტემის ელემენტებისა თუ სხვა კომპონენტების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით;
- მოსაპირკეთებელი მასალების სპეციფიკაცია.

- ელ. მომარაგების პროექტის შედგენა;
- წყალსადენ-კანალიზაციის პროექტის შედგენა;
- გათბობა-გაგრილებისა და ვენტილაციის სისტემის პროექტის შედგენა;
- სუსტი დენების (კომპიუტერული ქსელი, ტურნიკეტი, ხანძარდეტექცია და ა.შ.) პროექტის შედგენა;
- ხანძრის დეტექციისა სახანძრო ვენტილაციის პროექტის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);

● შემუშავებული პროექტის მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოების სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა (რესურსული და გამარტივებული მეთოდით, საბაზრო ფასებით და სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის მიხედვით);
● მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენა;
● სრული არქიტექტურული პროექტის ექსპერტიზა, მათ შორის:

- ელ. მომარაგების პროექტის ექსპერტიზა;
- წყალსადენ-კანალიზაციის პროექტის ექსპერტიზა;

-გათბობა-გაგრილების სისტემის პროექტის ექსპერტიზა;
-ვენტილაციის სისტემის პროექტის ექსპერტიზა;
-სუსტი დენების (კომპიუტერული ქსელი, ტურნიკეტი, ხანძარდეტექცია და ა.შ.) პროექტის ექსპერტიზა;
-ავტომატური ხანძარქრობის პროექტის და სახანძრო ვენტილაციის ექსპერტიზა
-კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა;
-არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობის ექსპერტიზა „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან;
-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოცულობების პროექტთან შესაბამისობის ექსპერტიზა.

II ეტაპი - სარემონტო სამუშაოებისას საავტორო ზედამხედველობის განხორციელება, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის კორექტირება.